



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 16 ივლისი

დისციპლინური საქმე №208/19
ყოფილი მოსამართლის --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2019 წლის 20 დეკემბრის №208 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 იანვრის №43/208-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი აცხადებს რომ მოსამართლეებმა:

- 1.1. არ ჩააყენეს სასამართლო დავის მონაწილეები თანაბარ პირობებში, რითიც უგუნებელყვეს შეჯიბრებითობის პრინციპი.
- 1.2. დაარღვიეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების კანონით განსაზღვრული ვადა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქმეზე --- სასამართლოს მიერ (მოსამართლე ---; დავის ღირებულება -- აშშ დოლარი) 2018 წლის 30 აპრილს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება (მოსარჩელე ---; მოპასუხეები ---, ---, ---, ---, ---) 2018 წლის 08 ივნისს სააპელაციო წესით გაასაჩივრა ---, ხოლო 2018 წლის 13 ივნისს ---.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო 2019 წლის 14 თებერვალს. აღნიშნული გადაწყვეტილება 2019 წლის 27 მარტს --- და 2019 წლის 02 აპრილს --- გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

2019 წლის 19 აპრილის განჩინებით --- საკასაციო საჩივარი, დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში. 2019 წლის 19 აპრილის განჩინებით --- საკასაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, მხარეს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -- ლარის ოდენობით.

2019 წლის 25 აპრილს --- უზენაეს სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული საკასაციო საჩივარი. 2019 წლის 13 მაისის განჩინებით --- საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად მიღებულ იქნა წარმოებაში.

2019 წლის 26 ივლისის განჩინებით --- და --- საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით დადგინდა, რომ საკასაციო საჩივრები უნდა განხილულიყო მხარეთა დასწრებით. საქმეზე ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა, 2019 წლის 23 ოქტომბერს, 2019 წლის 15 ნოემბერს, 2019 წლის 21 ნოემბერს და 2019 წლის 4 დეკემბერს. 2019 წლის 4 დეკემბრის განჩინებით სს -- - და შპს -- -- უარი ეთქვათ საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე.

2019 წლის 12 დეკემბერს -- -- წარმომადგენელმა 2019 წლის 4 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის ჩაბარების მოთხოვნით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. -- -- წარმომადგენელს 2019 წლის 4 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ჩაბარდა 2019 წლის 13 დეკემბერს.

საქმის მასალები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 დეკემბრის დასაბუთებულ განჩინებასთან ერთად, თბილისის სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2020 წლის 16 იანვარს.

2.2. 2019 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოსამართლე -- -- განსახილველად გადაცემული ჰქონდა 557 სამოქალაქო სამართლის საქმე, რომელთაგანაც დაასრულა 321 საქმის (57.6%) განხილვა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 30 იანვრის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ სასამართლომ არ ჩააყენა სასამართლო დავის მონაწილეები თანაბარ პირობებში, რითაც უგუნებელყვეს შეჯიბრებითობის პრინციპი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში განსაზღვრულია, რა იგულისხმება ბრალის ფორმების, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ქვეშ. ამდენად, აღნიშნული წესი მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ადგენს ე.წ. „Numerus clausus“-ის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლი ადგენს ასევე დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ აბსტრაქტულ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დასადგენად დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მოხდა სასამართლო სხდომის აუდიო და წერილობითი ოქმების გაცნობა. შედეგად, მოსამართლეების მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

3.2. საჩივრის ავტორის მტკიცებით, უზენაესი სასამართლომ დაარღვია დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადების კანონით განსაზღვრული ვადა.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ა. ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტი (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმება და გამოკვლევა ობიექტურად, ყოველმხრივ და მიუკერძოებლად უნდა განხორციელდეს. შესწავლილი უნდა იქნეს მოსამართლის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁷ მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმებისას ხელმძღვანელობს „დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.“ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც დისციპლინური სამართალწარმოების მტკიცებითი სტანდარტი, რაც გულისხმობს ფაქტებისა ან ინფორმაციის ერთობლიობის ანალიზს გარეშე დამკვირვებლისათვის მოსამართლის ქმედების შესახებ ობიექტური წარმოდგენის შესაქმნელად.

ამდენად, იყო თუ არა საპროცესო მოქმედების, ჩვენს შემთხვევაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა არაგონივრული, უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, 55; Papachelas v. Greece, 39), ისე მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, 63); 2) განსახილველ საქმეთა სიმრავლე და სხვა. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი, ამ გარემოებამაც შეიძლება საპროცესო ვადის დარღვევა გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, 150);

აქვე, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საპროცესო მოქმედების ვადის დარღვევა იყო თუ არა გონივრული უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlander v. France, 43).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება.

მოცემულ შემთხვევაში, ყურადღება ასევე უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, „საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.“ ხოლო ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, „საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.“ ამავე კოდექსის 257-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი არეებისათვის გადასაცემად დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ამზადებს 1 თვის ვადაში.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმეზე საბოლოო განჩინება მიიღო 2019 წლის 4 დეკემბერს. აღნიშნული განჩინებით -- -- და -- -- უარი ეთქვათ

საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 დეკემბრის განჩინების მხარეებისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება, თუმცა, საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქმე დასაბუთებულ განჩინებასთან ერთად -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2020 წლის 16 იანვარს. ამდენად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სასამართლოს დასაბუთებული განჩინება მომზადებული ჰქონდა 2020 წლის 16 იანვარს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დასაბუთებული განჩინების მომზადების კანონით განსაზღვრული 1 თვიანი ვადის თუნდაც 11 დღით დარღვევა არ შეიძლება ჩაითვალოს არასაკატიოდ.

ამდენად, მოსამართლის -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში მოცემული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

-- -- მოსამართლე -- -- 2021 წლის -- -- გათავისუფლდა თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2019 წლის 20 დეკემბრის №208 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის - --- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი